ყველაფერი თავისი რიგით მიდის

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 9 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “ზარია” (ვოროშილოვგრადი) 4:1 (3:0).

“დინამო”: გოგია (გაბელია), რუხაძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ჩელებაძე, შენგელია (გოგოლაძე).

“ზარია”: ტკაჩენკო, პინჩუკი, მალიგინი, იგნატენკო (კოლესნიკოვი), ოლენიოვი, ჟურავლიოვი, კუზნეცოვი, შევლიუკი, სოროკალეტი (მალიშენკო), კუკსოვი, რაბოჩი.

მსაჯი: ლ. აკსინევიჩი (მოსკოვი).

გოლები გაიტანეს შენგელიამ (30–ე წუთი), ქორიძემ (35–ე, 38–ე), გუცაევმა (50–ე), ჟურავლიოვმა (82–ე).

დუბლიორები – 4:1.

“ზარიას” ამ მატჩამდე მხოლოდ სამი ფრე ჰქონდა და ბუნებრივია, ერთი ქულისათვის ზრუნვა ჩემპიონატის ლიდერთან არ გაემტყუნებოდა. თბილისელი მაყურებელიცა და თვითონ “დინამო” სტუმართა ამ კონკრეტული ამოცანიდან გამომდინარე თამაშს ელოდა.

დამარცხება, ისიც დიდი ანგარიშით, როგორც წესი, საქებარი სიტყვის თქმის სურვილს იშვიათად სტოვებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ვოროშილოვგრადელმა ფეხბურთელებმა ერთ კომპლიმენტი უეჭველად დაიმსახურეს. მართლია ოლენიოვიც, კუზნეცოვიც, შევლიუკიც და კუკსოვიც ბევრს ეხმარებოდნენ დაცვას (ეს დახმარება უფრო იძულებითი იყო), მაგრამ “ზარიამ” მატჩი ფაქტიურად ოთხი მცველით ითამაშა. ამავე დროს უკრაინელ ფეხბურთელებს წინ გამუდმებით ჰყავდათ ორი ფორვარდი (პირველ ტაიმში – სოროკალეტი, რაბოჩი; მეორეში – კოლესნიკოვი, რაბიჩი).

ისიც სათქმელია, რომ სტუმრებს არც დროის გაჭიანურებაზე და არც უხეშობაზე არ უფიქრიათ. ეს ყველაფერი კარგი, მაგვარი გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ყოველთვის მისასალმებელია, მაგრამ “ზარიას” “დინამოსთან” ერთ ენაზე საუბარი არ გამოუვიდა – უკრაინელთა დაცვამ სამი თბილისელი ფორვარდისა და ძალზე აქტიურად მოთამაშე ნახევარდაცვის წინაშე ვერაფერი გააწყო. ოთხი გოლი და უამრავი საგოლე სიტუაცია სწორედ ამაზე ლაპარაკობს.

აქვე, ერთი საყვედური მაყურებელთა იმ ნაწილის მიმართ, ანგარიშით 4:0–ზე თავისი გუნდისაგან აგრესიულად თამაშს რომ ითხოვდა. რა თქმა უნდა, გამანადგურებელი ანგარიშით მოგება შთამბეჭდავია, მაგრამ ისიც ხომ სიმართლეა, რომ “ზარიასთან” მატჩი სრულებითაც არ ყოფილა ჩემპიონატის ბოლო შეხვედრა. ორმოცგრადუსიან სიცხეში ენერგიის ფუჭად ხარჯვა კი შორსმაცქერალ გუნდს ბევრ ვერაფერ სამსახურს გაუწევს.

“დინამომ” პირველ წრეში 23 ქულა მოაგროვა, სამით მეტი ვიდრე შარშან. ბევრისმთქმელი ფაქტია, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამ არის. შეიძლება ჯერ ნაადრევიც იყოს ამაზე დაბეჯითებით საუბარი, მაგრამ უკვე იგრძნობა, უკვე გამოიკვეთა იმის წანამძღვრები (განსაკუთრებით ბოლო სამ მატჩში), რომ გუნდის მწვრთნელებმა ძალთა განაწილების უფრო რაციონალური (და ალბათ, სწორიც) გზა აირჩიეს. შარშან შემოდგომის მიწურულს “დინამომ” შესამჩნევად დათმო პოზიციები. თუ წლეულს ასეთი რამ არ განმეორდა, ის პირველყოვლისა კოლექტივის ხელმძღვანელობის დამსახურება იქნება. თბილისელებს არც რეზერვების

თვალსაზრისით აქვთ გადაუჭრელი პრობლემები, ასე რომ დაურიდებლად შეგვიძლია ვთქვათ: ყველაფერი თავისი რიგით მიდის.

ი. ბერიაშვილი.
“ლელო”, 11 ივლისი, 1978 წ.